სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 ივნისი, 2024 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/98

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს 2017 წლის 29 ივნისის №49 დადგენილების, „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 თებერვლის №01-08/53 ბრძანების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/03, 21.06.2024) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 24 0000732785, 24.06.2024) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის **„საგარეო ვალის მართვის თანამედროვე მიდგომები სასესხო კაპიტალის ბაზარზე“** საჯარო დაცვა დაინიშნოს **2024 წლის 12 ივლისს 12:00 საათზე,** 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი „ბიზნესის ადმინისტრირების“ **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
   2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (მდივანი);
   2.3. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი;

2.4. გიორგი აბუსელიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. დარეჯან ჩხუბაძე– ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.6. გულიკო ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. რამინ ცინარიძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ნატალია რობიტაშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. ნატო ჯაბნიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10. ეკატერინე შაინიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.11. თამარ ღოღობერიძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასოცირებული პროფესორი ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**